თბილისი, 2014 წ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და

საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (შემდგომში - „სამინისტრო") და საგანმანათლებლო დაწესებულებები ანიჭებენ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მიზნით თანამშრომლობის დამყარებასა და განვითარებას;

აღიარებენ რა ორივე მხარის ინტერესს, ხელი შეუწყონ კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მიზნით თანამშრომლობის განვითარებას;

ეყრდნობიან რა თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

ამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (შემდგომში – მემორანდუმი), მხარეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოხატავენ კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებისას თანამშრომლობის საერთო მზადყოფნას.

მუხლი 2

თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის მხარეები ითანამშრომლებენ კულტურის სფეროში, რომელიც მოიცავს კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მიმართულებას.

მუხლი 3

მემორანდუმის ფარგლებში სამინისტრო თავის მხრივ იღებს პასუხისმგებლობას:

ა) უზრუნველყოს კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის პროცესში დაინტერესებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;

ბ) უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

გ) უზრუნველყოს კულტურის პოლიტიკის განხორციელების პროცესში საგანმანათლებლო დაწესებულებების მაქსიმალური ჩართვა.

მუხლი 4

მემორანდუმის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებები თავის მხრივ პასუხისმგებლობას იღებენ:

ა) მონაწილეობა მიიღონ კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებისათვის სამუშაო შეხვედრებში;

ბ) შეიმუშავონ რეკომენდაციები, წინადადებები და შენიშვნები კულტურის პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით;

გ) კულტურის სფეროში დაგროვილი გამოცდილება (კვლევები, შეფასებები, ანგარიშები) გაუზიარონ სამინისტროს;

დ) ხელი შეუწყონ კულტურის პოლიტიკის იმპლემენტაციას.

მუხლი 5

მემორანდუმი არ ზღუდავს თანამშრომლობის სახეებსა და ფარგლებს. მხარეებს შეუძლიათ, ითანამშრომლონ სხვა საკითხებში ინტერესების შესაბამისად.

მუხლი 6

მხარეები ცალკე შეათანხმებენ თითოეული პროექტის დეტალებს, მათ შორის თანამშრომლობის ფარგლებს, ფორმებსა და სხვა საკითხებს.

მუხლი 7

მემორანდუმი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. თითოეულ მხარეს შეუძლია, ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმის მოქმედება, მხარეებისთვის 15 (თხუთმეტი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

მუხლი 8

მემორანდუმში შესაძლებელია ნებისმიერი ცვლილების შეტანა მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ცვლილებები ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 9

მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

ორგანიზაციის სახელწოდება

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

ხელმძღვანელი პირის ხელმოწერა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

მირიანე ოდიშარია

9 ივლისი, 2014 წ.